ოქმი:**ო63. 6326180001**
თარიღი:**29/06/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 9

29 ივნისი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 29 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ-ის, მარიამ ცომაიას თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მარიამ ცომაია, პაატა კოხრეიძე, მაია ტალაბაძე, გოჩა არველაძე, თენგიზ ცაგურია, ანა გეგეშიძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი: მარიამ ცომაია/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტისმერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლი 8 აპრილის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მარიამ ცომაია/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **შიდა აუდიტის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მარიამ ცომაია/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (6 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მარიამ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

მარიამ ცომაია - მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 4 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა დადგენილების პროექტი -სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი შესასწავლად დაეწერა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას. კერძოდ,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) (შემდგომში – ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი ყოლის წესი (შემდგომში – წესი) ადგენს ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის პირობებს. წესი აგრეთვე განსაზღვრავს ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის, მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებს და მათი დაცვის მექანიზმებს.

მუხლი 2. წესის მიზანი

1. წესის მიღების მიზანია ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა.

2. ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერმინები.

მუხლი 3. შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო

შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”.

მუხლი 4. ცხოველთა სტატუსი და მათი რეგისტრაცია

1. ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველებს ენიჭებათ ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) პატრონიანი;

ბ) მიკედლებული;

გ) უმეთვალყურეო;

დ) უპატრონო.

2. ცხოველს პატრონიანის სტატუსი ენიჭება მეპატრონის მიერ წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებით, ძაღლის რეგისტრაციის მომენტიდან.

3. მიკედლებულის სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელსაც ფაქტობრივად ზედამხედველობს

ფიზიკური ან იურიდიული პირი და რომელსაც მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე

არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო.

4. უმეთვალყურეოდ ითვლება ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან ცხოველის მიმკედლებელი და რომლის მიმართ ტარდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

5. უპატრონოს სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელსაც არ ჰყავს ან არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედლებელი.

6. პატრონიანისა თუ უპატრონოს სტატუსი უდგინდება უმეთვალყურეო ცხოველს, მისთვის მეპატრონის დასადგენად ან ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით გასატარებელი შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დაწყებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

7. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს შეიძინოს, აიყვანოს (თავშესაფრიდან ან ქუჩიდან), იჩუქოს ან მიიღოს მემკვიდრეობით ცხოველი, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

8. რეგისტრირებული ცხოველი წარმოადგენს ცხოველის მეპატრონის საკუთრებას.

9. ცხოველის მეპატრონეს ეკრძალება საკუთრებაში კონკრეტულ მისამართზე ან/და ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე ერთდროულად 5-ზე მეტი ცხოველის (გარდა ამ ცხოველთა ნაშიერისა, რომელთა ასაკი არ აღემატება 6 თვეს) ყოლა, თუ ეს მისამართი ან/და ტერიტორია არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ცხოველთა თავშესაფრის მინიმალურ სტანდარტებს.

10. მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველთა რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

11. მონაცემთა ერთიან ბაზაში ფიზიკური პირი მეპატრონედ შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ 16 წლის ასაკის მიღწევისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული ნასამართლობის არქონის შემთხვევებში.

12. პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის მეპატრონედ რეგისტრაციისთვის, გარდა ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, სავალდებულოა ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა.

13. ცხოველთა მარეგისტრირებელი ორგანოა მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო, რომელიც არეგისტრირებს ამ წესით განსაზღვრული ნებისმიერი სტატუსის მქონე ცხოველს და ყველა ცვლილებას ამ სტატუსთან დაკავშირებით.

14. პირველადი რეგისტრაცია და ცხოველის ყოლასთან დაკავშირებული ცვლილებები მეპატრონის/მიმკედლებლის მიერ უნდა განხორციელდეს მონაცემთა ერთიან ბაზაში ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

15. მეპატრონის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე ვალდებულია დარეგისტრირდეს მეპატრონედ მონაცემთა ერთიან ბაზაში. თუ მემკვიდრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიება, ხოლო ახალი მეპატრონის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი თავშესაფარში გადაყვანა.

16. ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს უფლება აქვთ, უზრუნველყონ უპატრონო ცხოველის მიკედლება.

17. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

18. ცხოველის მიკედლება დასაშვებია მხოლოდ სტერილიზაციის/კასტრაციის შემდეგ.

19. მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის კვება-დარწყულება;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ანტირაბიული ვაქცინაციის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, თუ მიკედლებულ ცხოველს გამოუვლინდა სხვა ცხოველისთვის ან/და ადამიანისთვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

დ) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების შეუფერხებლად განხორციელებას, მათ შორის, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხოველის მდგომარეობის შესახებ;

ე) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს და მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმებამდე განაგრძოს ცხოველის მეთვალყურეობა.

20. მეპატრონის/მიმკედლებლის ცვლილების შემთხვევაში ახალი მეპატრონე/ მიმკედლებელი

ვალდებულია, მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში ცვლილების შეტანის მიზნით, მეპატრონის/მიმკედლებლის ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

21. მიკროჩიპის/ტრანსპონდერის ან საყურე ნიშნის (საჭდის) დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მეპატრონე/მიმკედლებელი ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაციის მიზნით.

22. ცხოველის რეგისტრაციისას გაიცემა ამ წესის დანართი №1-ით დადგენილი სარეგისტრაციო მოწმობა, ხოლო ცხოველს ენიჭება სარეგისტრაციო მოწმობის ნომრის შესაბამისი პირადი ნომერი. ცხოველის პატრონის საცხოვრებელი ან/და ცხოველის ბინადრობის ადგილის, საკონტაქტო ან სხვა სარეგისტრაციო მონაცემების შეცვლისას, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო

უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სარეგისტრაციო მონაცემებში.

23. ცხოველის რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულება ვალდებულია

უზრუნველყოს ამ წესით გათვალისწინებული ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია) შესახებ მონაცემების უსასყიდლოდ, წარდგენა უფლებამოსილ ორგანოში, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ, მოთხოვნის შემთხვევაში. აღნიშნული მონაცემების წარდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე (e-mail) ან სხვა ელექტრონული საშუალებით (ვებგვერდი, სპეციალური ელექტრონული პროგრამა და ა.შ.).

24. ცხოველის პატრონი ვალდებულია ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის ან რეგისტრაციის მომენტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. მეპატრონის უფლებები და მოვალეობები ცხოველის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით

1. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია აანაზღაუროს მის საკუთრებაში მყოფი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის შენახვა და მოვლა-პატრონობა, კონკრეტული ჯიშის ცხოველის ბიოლოგიური და ეტოლოგიური თავისებურებების შესაბამისად. კერძოდ:

ა) ცხოველის სათანადო კვება და დარწყულება;

ბ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) ცხოველის გასეირნება, მგზავრობა, სათანადო ფიზიკური აქტივობა და ღონისძიებებში გამოყენება „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვით;

დ) ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა;

ე) ვეტერინარული შემოწმება, კომპლექსური ვაქცინაცია და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება;

ვ) ანტირაბიული ვაქცინაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა სტერილიზაციით/კასტრაციით „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

თ) ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა მისთვის სხვა უვნებელი, ვეტერინარული წესებით დასაშვები მეთოდით სამედიცინო ჩვენების საფუძველზე სტერილიზაციის/კასტრაციის მეთოდის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში;

ი) ცხოველის დაუყოვნებლივ გადაყვანა ვეტერინარულ დაწესებულებაში მისი ავადობის შემთხვევაში;

კ) ცხოველის დაკარგვის/დაღუპვის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის 24 საათის განმავლობაში შეტყობინება;

ლ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტოს“

ინფორმირება ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/ დაკაწვრის/დადორბვლის ფაქტის შესახებ, თუ არსებობს ეჭვი ცოფით ან ცხოველიდან ადამიანზე გადამდები სხვა საშიში დაავადებით დაინფიცირებაზე/ დაავადებაზე;

მ) ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/ დადორბვლის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება იზოლირებულად, მეპატრონის ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე ან თავშესაფარში;

ნ) საზოგადოებრივი სივრცის მყისიერი დასუფთავება ცხოველის მიერ მისი დაბინძურების შემთხვევაში;

ო) ცხოველის ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. პოტენციურად მომეტებული რისკის მქონე ძაღლის პატრონი ვალდებულია ცხოველის საცხოვრებელი ტერიტორიის ყველა შესასვლელთან განათავსოს თვალსაჩინო გამაფრთხილებელი წარწერა ან შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც წაკითხვადი/აღქმადი უნდა იყოს დღეღამის ნებისმიერ დროს.

4. დაუშვებელია ცხოველის უპატრონოდ ან მეთვალყურეობის გარეშე მიტოვება. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ან/და მეპატრონისა და ცხოველის თანაარსებობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში, ცხოველის მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ცხოველი ჩააბაროს ცხოველთა თავშესაფარში, შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, მეპატრონე ან მისი წარმომადგენილი ვალდებულია ქმედითი ღონისძიებები გაატაროს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.

5. აკრძალულია ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვა.

6. აკრძალულია ცხოველის შეყვანა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების,

ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში (გარდა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შემთხვევისა), ასევე საავადმყოფოში, გარდა კატისა და მცირე ზომის ძაღლისა, რომელთა შეყვანა დასაშვებია ხელში აყვანით ან სპეციალური გადამყვანის (კონტეინერის, ჩანთის) მეშვეობით, აგრეთვე ასისტენტი ძაღლისა.

7. აკრძალულია ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, ასევე იმ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი. ცხოველის დაშვების ამკრძალავი ნიშნის განთავსების შემთხვევაში ობიექტის მესაკუთრე/მფლობელი ვალდებულია მიმდებარე ტერიტორიაზე განათავსოს ცხოველის მისაბმელი.

8. დასაშვებია ცხოველის ლეშის:

ა) დამარხვა საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე;

ბ) კრემაცია;

გ) მოთავსება ბიოთერმულ ორმოში.

9. ძაღლის ყოლა ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში ნებადართულია საბლით ან ალიკაპით (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა). სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ძაღლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ საბლით ან ალიკაპით, ან სპეციალური კონტეინერით.

10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანმყოლი, შეზღუდული უნარების კომპენსირებისთვის სპეციალურად გაწვრთნილი და აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატის ასისტენტი ძაღლების მეპატრონეებს (მფლობელებს, მსგავსი ძაღლების დახმარებით მოსარგებლე პირებს), აქვთ ზემოხსენებულ ცხოველებთან ერთად დაუბრკოლებლად გადაადგილების უფლება საზოგადოებრივი ტრანსპორტით და დანიშნულების ადგილებში (სავაჭრო ობიექტები, საბანკო დაწესებულებები და სხვა).

11. ცხოველის დაავადების შემთხვევაში ცხოველის მეპატრონე ვალდებულია დაუყოვნებლივ

მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების დადგენის შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ წესის პირობებით დადგენილი ცხოველის ევთანაზია და მისი შემდგომი დამარხვა/კრემაცია/მოთავსება ბიოთერმულ ორმოში;

ბ) ცხოველის მეპატრონის მოთხოვნის და მკურნალობის საფასურის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში ცხოველის შესაბამისი მკურნალობა.

12. ცხოველის კვლევის, მკურნალობის, ევთანაზიის და დამარხვის/კრემაციის/ ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯებს ანაზღაურებს ცხოველის მეპატრონე.

13. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ან/და მეპატრონისა და ცხოველის თანაარსებობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და ცხოველის მეპატრონის მიმართვის შემთხვევაში ცხოველის გადაყვანას თავშესაფარში და შემდგომი პროცედურების ჩატარებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო.

14. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესის სათანადოდ და სრულად ჩატარების და მკურნალობის პროცესში ადამიანებისა და სხვა ცხოველებისათვის საშიში დაავადების გავრცელების პრევენციის ღონისძიებების გატარების ვალდებულება კომპეტენციის ფარგლებში აკისრია, როგორც ცხოველის მეპატრონეს, ისე შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას.

15. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის პროცესში ცხოველის მეპატრონე დაარღვევს დანიშნული მკურნალობის მეთოდიკას, პროცედურებს და ვადებს, ცხოველის მეპატრონეს ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების დადგენის შემთხვევაში, ასევე ევთანაზიის თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული მკურნალობის ყოველი ფაქტის შესახებ ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს დაუყოვნებლივი ინფორმირება.

17. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული

მკურნალობის პროცესში ცხოველის მეპატრონე დაარღვევს დანიშნული მკურნალობის მეთოდიკას, პროცედურებს და ვადებს, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება აღნიშნულთან დაკავშირებით, ცხოველის მეპატრონის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების მიზნით. ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვეტერინარულ დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ცხოველის მიკედლება

1. ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს უფლება აქვთ, უზრუნველყონ უპატრონო ცხოველის მიკედლება.

2. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში. მიკედლება წყდება მიმკედლებლის განცხადების საფუძველზე ან მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

3. ცხოველის მიკედლება დასაშვებია მხოლოდ სტერილიზაციის/კასტრაციის შემდეგ.

4. დაუშვებელია ცხოველის მიკედლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, სამედიცინო დაწესებულების, აგრეთვე საბავშვო და სპორტულ მოედნებზე.

5. მიმკედლებელს უფლება აქვს, უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის:

ა) ვეტერინარული მომსახურება;

ბ) დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა;

გ) დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

6. ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების გათვალისწინებით მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის კვება-დარწყულება;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ანტირაბიული ვაქცინაციის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, თუ მიკედლებულ ცხოველს გამოუვლინდა სხვა ცხოველისთვის ან/და ადამიანისთვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

დ) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების შეუფერხებლად განხორციელებას, მათ შორის, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხოველის მდგომარეობის შესახებ;

ე) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს და მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმებამდე განაგრძოს ცხოველის მეთვალყურეობა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიკედლებული

ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო თავის სისტემაში შემავალი მუნიციპალური თავშესაფრის ან თავის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

მუხლი 7. ცხოველთა თავშესაფარი

1. ცხოველთა თავშესაფარი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ დაწესებულებას, რომელშიც შესაძლებელია ცხოველთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მოთავსება მათი სამართლებრივი, ვეტერინარული მდგომარეობის დადგენისა და შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

2. თავშესაფარი ექვემდებარება შესაბამის კონტროლს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან.

3. თავშესაფარი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესის და საკუთარი დებულების საფუძველზე.

4. ცხოველთა თავშესაფარში შეყვანილი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას/აღრიცხვას, თავშესაფრიდან მათ გაყვანამდე.

5. თავშესაფრიდან ურბანული გარემოს პირვანდელ ან სხვა მიზანშეწონილ არეალში დასაბრუნებელი ან/და მისაკედლებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება საყურე ნიშნით (საჭდით) – ძაღლის შემთხვევაში, ხოლო ტატუირებით და ყურის მცირედი (ვიზუალურად ფიქსირებადი) კუპირებით – კატის შემთხვევაში. თავშესაფრიდან გასახუქებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება დადგენილი იდენტიფიკაციის ნებისმიერი საშუალებით.

6. თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების (ძაღლი, კატა) სავალდებულო იდენტიფიკაციას საჭდით ან ტატუირებით უსასყიდლოდ ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე.

7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს აქტიური კომუნიკაცია და კოორდინაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, მათ შორის, სადეზინფექციო ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებების ჩატარებით, ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 8. ცხოველების ევთანაზია

1. ცხოველების ევთანაზია (ჰუმანური მეთოდებით) ტკივილის შეწყვეტის მიზნით ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი იმყოფება სიკვდილის წინა სტადიაში.

2. ცხოველთა თავშესაფარში ევთანაზია დაიშვება მხოლოდ ვეტერინარის მიერ, მის მიერ ხელმოწერილი აქტის საფუძველზე.

3. ცხოველის ევთანაზია თავშესაფრის გარეთ დაიშვება მხოლოდ ვეტერინარის მიერ მისი ტანჯვის შესაწყვეტად, როდესაც ვეტერინარული დახმარების მიღება შეუძლებელია/არაეფექტური და ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე ცხოველი იმყოფება სიკვდილის წინა სტადიაში.

4. ცხოველის ევთანაზია ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს მხოლოდ ვეტერინარის მიერ მყისიერ სათანადო ინექციის გზით, ცხოველისთვის ფიზიკური თუ სულიერი (მენტალური, ფსიქოლოგიური) ტანჯვის გარეშე, საერთო ანესთეზიის გამოყენებით.

5. დაუშვებელია ცხოველთა ევთანაზია არავეტერინარის მიერ და შემდეგი მეთოდებით:

ა) დახრჩობა;

ბ) გაგუდვა;

გ) მოწამვლა;

დ) ელექტრომუხტის გამოყენება;

ე) სასიკვდილო მექანიკური დაზიანების მიყენება;

ვ) საკვებისა და წყლის განზრახ არ მიცემა;

ზ) არაბუნებრივ გარემოში ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა და ხარჯების ანაზღაურება

1. პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება ცხოველის პატრონზე, ხოლო ცხოველის მესაკუთრის/პატრონის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში – იმ პირზე, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს ცხოველზე ზედამხედველობას და რომლის ქმედებითაც დაირღვა ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.

3. მეთვალყურეობის გარეშე მყოფ ცხოველს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში, ამ წესით დადგენილი შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

4. ამ მუხლის მე-3 პუქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გაატაროს ამ წესით დადგენილი ღონისძიებები.

5. მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველი მეპატრონეს

დაუბრუნდება მხოლოდ მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტების უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის შემდეგ.

6. მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანილი, ამ წესის შესაბამისად

იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული ცხოველი მეპატრონეს დაუბრუნდება მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველის მონაცემების შემოწმებისა და ცხოველის პატრონის/მფლობელის იდენტიფიკაციის საფუძველზე. მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველის მეპატრონის დადგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს მეპატრონეს მის საკუთრებაში არსებული ცხოველის მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანის ფაქტის შესახებ, ამ ფაქტის

დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა.

7. მეპატრონისთვის ცხოველის დაბრუნების შესახებ შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი და ცხოველის მეპატრონე. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს ცხოველის ფოტოსურათი.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და მათი შინაარსის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ წარმომდგენს.

9. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ დადგინდება ცხოველის მესაკუთრე/მეპატრონე, ან იგი არ მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის დაბრუნების მიზნით, ორგანო უფლებამოსილია, თანმიმდევრულად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ცხოველის გასხვისება (გაჩუქება);

ბ) ამ წესით დადგენილი სხვა ღონისძიებები, მათ შორის, ცხოველის ბინადრობის პირვანდელ არეალში დაბრუნება.

10. კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო

გადაიყვანს მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში, ამ მუხლით დადგენილი შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

11. ცხოველის მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ, ცხოველის გაჩუქების მიზნით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში და სხვა) გამოქვეყნებას უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები).

12. მუნიციპალურ თავშესაფარში ან კერძო თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველი ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი განაცხადებს წერილობით თანხმობას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ადგილსამყოფლის და მისი მოვლაპატრონობის წესის დაცვის პერიოდულ გადამოწმებაზე.

13. მუნიციპალური თავშესაფრიდან ან კერძო თავშესაფრიდან ცხოველის ჩუქებით გაყვანამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე.

14. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიების გატარების შემდეგ ცხოველი 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ გაჩუქდება, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გაატარებს ამ წესით დადგენილ სხვა ღონისძიებებს.

15. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ვადა შეჩერდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი გაასაჩივრებს მის მიმართ გამოცემულ საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

დანართი №1

ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა

N 0000001

ცხოველი:

1. სახეობა .....

2. ჯიში .....

3. სქესი .....

4. ასაკი .....

5. გარეგანი აღწერილობა .....

6. იდენტიფიკატორი .....

(მიკროჩიპის/ტრანსპონდერის ან საყურე ნიშნის (საჭდის) ან ტატუირების N)

7. მუდმივი ადგილსამყოფლის მისამართი .....

ცხოველის პატრონი:

1. სახელი, გვარი .....

2. პირადი № .....

3. მისამართი (ფაქტობრივი და რეგისტრაციის) .....

4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

.....

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....

2. დასახელება, ID N .....

3. მისამართი (ფაქტობრივი და იურიდიული) .....

4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

.....

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

ბეჭდის

ადგილი

ცხოველის პატრონი:

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

(ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის N 0000001 მეორე მხარე ან დანართი)

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დააფიქსირეს მოსაზრებები.

მარიამ ცომაია - ზემოაღნიშნულ დადგენილებაში არსებული ხარვეზები გასწორებულია.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრები ეთანხმებიან რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მარიამ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტისმერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლი 8 აპრილის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კერძოდ,

მუხლი 1.

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“–პუნქტის „გ.ბ“-ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის №49 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 11. 04. 2022. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016409) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

17. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 36^1-ე, 51^3-ე, 53^3-ე, 55-ე, 55^2-ე, 55^3-ე, 55^6-ე, 77^1-ე, 77^2-ე, 82^5-ე, 103-ე, 103^2-ე, 107^4-ე, 119^1-ე მუხლების, 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილების, 125^4-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 127^1-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 134-ე, 135-ე, 135^1-ე, 146^1-ე, 148-ე, 150-ე, 150^1-ე, 151-ე, 151^2-ე, 152-ე, 152^2-ე, 153^4-ე, 156^1-ე მუხლების, 158^5-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 159-ე და 159^1-ე მუხლების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, 46-ე მუხლისა და საქართველოს

ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის

საფუძველზე.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-9 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,13. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 36^1-ე, 53^3-ე, 55^2-ე, 55^6-ე, 77^1-ე, 77^2-ე და 82^5-ე მუხლების, 103-ე მუხლის, 103^2-ე მუხლის, 125-ე მუხლის მე–8, მე-12 – მე-14 ნაწილების, 125^4-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 135-ე და 135^1-ე მუხლების, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 152^2-ე და 156^1-ე მუხლების, 158^5-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და 159-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 01 ივლისიდან.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მარიამ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 მარტის ჩათვლითგაწეული სამუშაო.

კერძოდ,

2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 მარტამდე პერიოდში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა 1 შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი (კომბინირებული). აუდიტის ობიექტებს წარმოადგენდა: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“. აუდიტი ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აღებული ვალდებულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ მიმართ, შემოწმების შედეგად შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა 7 რეკომენდაცია. სამტრედიის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის წლიური და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად რისკების მიხედვით განისაზღვრა 2026 წლის პერიოდში შესამოწმებელი ორგანიზაციები: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“, შპს „სპორტკომპლექსი სამტრედია“, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა“, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახ. №1 სახელოვნებო სკოლა.“ ხსენებულპერიოდში განხორციელდა ჩატარებული აუდიტების შედეგების მონიტორინგი შემდეგ აიპებში: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“, ა(ა)იპ „რაგბის გუნდი ფენიქსი“, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“. სამსახური ახდენს მერის ცალკეული დავალებების შესრულებას, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ მომართვის საფუძველზე წერილობითი პასუხების გაცემას და მათთვის შესაბამისი

ინფორმაციის მიწოდებას ჩატარებულ აუდიტზე, სამოქმედო გეგმებსა თუ გაწეულ რეკომენდაციებზე. მერის დავალების საფუძველზე დახმარება გაეწია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023-2024 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე არსებული ინფრომაციის მოძიება/ დაკაბადონებაზე. მოვახდინეთ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან არსებული მდგომარეობის იდენტიფიკაცია, ინფორმაციის მოძიება თითეულ რეკომენდაციაზე, ინფორმაციის დაკაბადონება და აღნიშნული ინფორმაციის გარე მარწმუნებელზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე გადაცემა. ინსპექტირების განყოფილება გეგმის თანახმად, სისტემატურად აწარმოებს მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწრამეო არაკომერციულ იურდიულ პირებში თანამშრომელთა გამოცხადებისა და წესრიგის კონტროლს, ასევე ხდება კონტროლი მიმდინარე პროცესების, კერძოდ; საწვრთნელი მეცადინეობების, თანამშრომლების აღრიცხვისა და ამავდროულად კომპეტენციების განაწილების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს შემოწმება, ასევე ბაგა-ბაღებში სწავლისა და კვების პროცესის მიმდინარეობის კონტროლი, რაზეც შედგენილია შესაბამისი ოქმები და ახსნა-განმარტებები. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წელს მოეწყო და ამოქმედდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების საათობრივი აღრიცხვის ელექტრონული ტაბელი (ტურნიკეტი), რომლსაც ზედამხედველობას უწევს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილება. ამავე განყოფილების თანამშრომლების მიერ ყოველი თვის ბოლოს აღნიშნული მოწყობიდან ხდება მონაცემების ამოღება დამუშავება და მიწოდება შესაბამის სამსახურებთან.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრებები დააფიქსირეს.

მარიამ ცომაია - წარმოდგენილი ანგარიში ძირითადად მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს. სამსახურის დებულებიდან გამომდინარე, არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაო.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით. საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მარიამ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი